ქეთევან ცინცაძე

დამოუკიდებელი ინსპექტორი

აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა	2
პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)	7
დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები	7
კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი	8
კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა	9
კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები	14

2009-2011 წლებში ქალბატონი ქეთევან ცინცაძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის რეფერენტად მუშაობდა. 2011-2017 წლებში იგი იყო ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის თანაშემწე. 2017 წლის 21 ნოემბრიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ქეთევან ცინცაძე არჩეულ იქნა დამოუკიდებელ ინსპექტორად ხუთი წლის ვადით.

ღია საზოგადოების ფონდი

1. კანდიდატის პროფესიული/ აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა

1. კანდიდატის პროფესიული საქმიანობა

კანდიდატი ქეთევან ცინცაძე ამჟამად არის იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შექმნილი დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ხელმძღვანელი - დამოუკიდებელი ინსპექტორი. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური შეიქმნა 2017 წელს, სასამართლო რეფორმის ე.წ. „მესამე ტალღის“ საკანონმდებლო ცვლილებების ფარგლებში. ქეთევან ცინცაძე აღნიშნულ თანამდებობას იკავებს 2017 წლის 21 ნოემბრიდან.[1]

კანდიდატის საქმიანობასთან დაკავშირებით, დოკუმენტის ავტორებს ხელი მიუწვდათ გახდა დამოუკიდებელი ინსპექტორის პირველ წლიურ ანგარიშზე (2017-2018 წ.წ.). კონკრეტული საკითხების განხილვამდე საინტერესოა დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობის ზოგადი სტატისტიკა.

2017 წლის 21 ნოემბრიდან – 2018 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში დამოუკიდებელ ინსპექტორს განსახილველად 449 (2017 წელს 131, 2018 წელს 318 საჩივარი) დისციპლინური საჩივარი გადაეცა. საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელმა ინსპექტორმა მოამზადა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგინა 173 დასკვნა 188 საქმეზე. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ინსპექტორის დასკვნა გაიზიარა 160, ხოლო არ გაიზიარა 13 შემთხვევაში. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო 186 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე, ხოლო 33 შემთხვევაში საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის დაწყებისა და მოსამართლისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე.[2]

შენიშვნა: დისციპლინურ საჩივარში მითითებულ მოსამართლეთა რაოდენობის მიუხედავად, დამოუკიდებელი ინსპექტორი ერთ დისციპლინურ საჩივარზე ამზადებს ერთ დასკვნას, რომელშიც თითოეული მოსამართლის ქმედებას ინდივიდუალურად აფასებს და მომზადებულ დასკვნას წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ცალკე გადაწყვეტილებას იღებს თითოეული მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარდგენილი დასკვნებისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა განსხვავებულია.

აღნიშნული 33 საქმიდან, საანგარიშო პერიოდში საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საკითხი თორმეტ საქმეზე განიხილა. საბჭომ რვა საქმეზე შეწყვიტა დისციპლინური სამართალწარმოება, ხოლო ოთხ საქმეზე მოსამართლეებს დააკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა. როგორც ინსპექტორის ანგარიშიდან ირკვევა, საქმეები შეეხებოდა მოსამართლის მოვა-

---

1 **დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის პირველი წლიური ანგარიში, 2017-2018 წწ, გვ.4, ხელმისაწვდომია საიტზე https://bit.ly/2kk8gzd [უკანასკნელად შემოწმდა 14.09.2019]**

2 **დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის პირველი წლიური ანგარიში, 2017-2018 წწ, გვ.14,20-21, ხელმისაწვდომია საიტზე https://bit.ly/2kk8gzd [უკანასკნელად შემოწმდა 14.09.2019]**

ლეობის არაჯეროვან შესრულებას, სამოსამართლეო ეთიკის ნორმების დარღვევას, საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებას.[3]

სამართლებრივი საკითხი: მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება.

მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების ფაქტის შეფასებისას დამოუკიდებელი ინსპექტორი (კანდიდატი) მხედველობაში იღებს სადისციპლინო პალატის პრაქტიკას საქმეზე №დს-შ/9-16.

აღნიშნულ საქმეზე:

- **პალატამ ერთმანეთისგან გამიჯნა სამართლებრივი შეცდომა და დისციპლინური გადაცდომა. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის, კანონიერების პრინციპისა და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში". ამდენად, არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.[4]**

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელმა ინსპექტორმა (კანდიდატმა) მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვან შესრულებად მიიჩნია შემთხვევა:

- **„როდესაც მოსამართლემ გადაწყვეტილება მიიღო ძალადაკარგულ ნორმაზე დაყრდნობით, რომელიც იწვევდა მხარის არსებითი საპროცესო უფლების, კერძოდ, შესაბამისი განცხადების ზეპირი მოსმენით განხილვის უფლების დარღვევას. შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობის, მოსამართლის მოტივის, ქმედებისადმი მისი განზრახი და ასევე, უხეში გაუფრთხილებლობის გამომრიცხავი დამოკიდებულების გამო, საპროცესო წესის დარღვევის ფაქტი საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეაფასა მხოლოდ სამართლებრივ შეცდომად".[5]**

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა (კანდიდატმა) დისციპლინური გადაცდომად მიიჩნია შემთხვევები, როდესაც

- **„სამოქალაქო საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს ჩაბარდა დაახლოებით 5 თვის შემდეგ, 8 თვის დაგვიანებით, 6 თვის დაგვიანებით. დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დადგინდა ისეთ**

---

[3] დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის პირველი წლიური ანგარიში, 2017-2018 წწ, გვ.23, ხელმისაწვდომია საიტზე https://bit.ly/2kk8gzd [უკანასკნელად შემოწმდა 14.09.2019]

[4] დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის პირველი წლიური ანგარიში, 2017-2018 წწ, გვ.31, ხელმისაწვდომია საიტზე https://bit.ly/2kk8gzd [უკანასკნელად შემოწმდა 14.09.2019]

[5] დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის პირველი წლიური ანგარიში, 2017-2018 წწ, გვ.31, (დისციპლინური საქმე №202-17). ხელმისაწვდომია საიტზე https://bit.ly/2kk8gzd [უკანასკნელად შემოწმდა 14.09.2019]

შემთხვევებში, როდესაც დასაბუთებული განჩინება მოპასუხეს გაეგზავნა და ჩაბარდა მოსარჩელისათვის განჩინების გაგზავნიდან 2 კვირის შემდეგ; გადაწყვეტილება მოპასუხეს გადაეცა სასამართლოსათვის განცხადებით მიმართვიდან მე-13 დღეს (დადგენილი ვადა დარღვეულ იქნა 10 დღით), თუმცა მხარეს გასაჩივრების უფლება არ წართმევია".[6]

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა (კანდიდატმა) მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება დადგენილად არ მიიჩნია დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისთვის ცხრა თვის დაგვიანებით გაგზავნისას. ინსპექტორმა ყურადღება გაამახვილა რამდენიმე გარემოებაზე:

- მხარეს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება არ წართმევია; და მოსამართლე მეტისმეტად დატვირთული იყო, კერძოდ, ვადის დარღვევის პერიოდისათვის მოსამართლეს განსახილველი ჰქონდა 1674 სამოქალაქო საქმე, საიდანაც დაასრულა 888 საქმე (53%).[7]

სამართლებრივი საკითხი: სამოსამართლეო ეთიკის ნორმების დარღვევა.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა (კანდიდატმა) სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევად მიიჩნია მოსამართლის ხმამაღალი მიმართვა თარჯიმნისადმი – შეესრულებინა მასზე დაკისრებული მოვალეობები. ინსპექტორის აღნიშნული დასკვნა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ არ გაიზიარა და შეწყვიტა დისციპლინური სამართალწარმოება. საბჭომ მიიჩნია, რომ **„თარჯიმნის მიერ სასამართლო პროცესზე განხორციელებული ქმედებები მიმართული იყო პროცესის ჩაშლისკენ. მოსამართლის ქმედება ემსახურებოდა სასამართლო განხილვის უწყვეტობის და სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებს".**[8]

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა დისციპლინურ გადაცდომად არ მიიჩნია მოსამართლის მიერ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ განჩინებაში განვითარებული მსჯელობა ბრალდებულის პიროვნებისა და მისი ცხოვრების წესის შესახებ. მოსამართლემ აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას, განჩინებაში იმსჯელა ბრალდებულის პიროვნებაზე, მის ოჯახზე, საქმიანობაზე, სრულწლოვანი ბრალდებულის დამოუკიდებლად ცხოვრების წესზე.

დამოუკიდებელი ინსპექტორის შეფასებით:

- **„მოსამართლის მსჯელობა ემსახურებოდა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საფუძვლების დასაბუთებას და მიზნად არ ისახავდა ბრალდებულის პიროვნებისა და მისი ოჯახის შეურაცხყოფას".**[9]

სამართლებრივი საკითხი: მოსამართლის მიერ საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება

ანგარიშში მითითებულია, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორი (კანდიდატი) მოსამართლის მიერ საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით ხელმძღვანელობს.[10]

---

6 **დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის პირველი წლიური ანგარიში, 2017-2018 წწ, გვ.32, ხელმისაწვდომია საიტზე https://bit.ly/2kk8gzd [უკანასკნელად შემოწმდა 14.09.2019]**

7 **იქვე, გვ. 33.**

8 **იქვე, გვ. 34.**

9 **დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის პირველი წლიური ანგარიში, 2017-2018 წწ, გვ.26, ხელმისაწვდომია საიტზე https://bit.ly/2kk8gzd [უკანასკნელად შემოწმდა 14.09.2019]**

10 **დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის პირველი წლიური ანგარიში, 2017-2018 წწ, გვ.31, ხელმისაწვდომია საიტზე https://bit.ly/2kk8gzd [უკანასკნელად შემოწმდა 14.09.2019]**

შესაძლო გაჭიანურების ფაქტზე მსჯელობის დროს დამოუკიდებელი ინსპექტორი (კანდიდატი) ყურადღებას ამახვილებს საქმის სირთულეზე, საქმესთან მიმართებით მოსამართლისა და მხარეთა მიერ განხორციელებულ მოქმედებებზე, ჩატარებულ სხდომებსა და სხვადასხვა საპროცესო ღონისძიებებზე, ასევე კონკრეტული მოსამართლის წარმოებაში საქმის არსებობის ვადაზე, მოსამართლის დატვირთულობასა და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე.

ანგარიშის მიხედვით, აღნიშნული გულისხმობს:

- **„სამოქალაქო/ადმინისტრაციული საქმე სასამართლოს წარმოებაში შეიძლება იმყოფებოდეს 2 წლის განმავლობაში, თუმცა კონკრეტული მოსამართლე, რომლის მიმართაც საჩივარია წარმოდგენილი, საქმეს განიხილავდეს არა საქმის წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში, არამედ 3 ან 4 თვე. მაგალითისათვის, საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო საქმე განსახილველად იმყოფებოდა 1 წელზე მეტი ვადით, თუმცა, ერთ მოსამართლეს საქმე წარმოებაში ჰქონდა 4 თვე და 24 დღე, ხოლო მეორეს – 8 თვე და 23 დღე. მართალია, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა (კანდიდატმა) დაადგინა საქმის განხილვის ზოგადი გაჭიანურების ფაქტი, თუმცა საქმის განხილვის კანონით დადგენილი ვადების დარღვევისას იმსჯელა თითოეულ მოსამართლესთან მიმართებით ინდივიდუალურად.“**[11]

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა (კანდიდატმა) შეაფასა და დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტად მიიჩნია ადმინისტრაციული საქმის განხილვის გაჭიანურება 2 წლითა და 6 თვით მაშინ, როდესაც 1 წლისა და 8 თვის განმავლობაში ადმინისტრაციულ საქმეზე არანაირი საპროცესო მოქმედება არ იყო განხორციელებული.

ანგარიშის თანახმად, აღნიშნულ საქმეზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეწყვიტა დისციპლინური სამართალწარმოება. კერძოდ, **„ცხრა წევრმა მიიჩნია, რომ მოსამართლის მიმართ უნდა დაწყებულიყო დისციპლინური დევნა და საჩივარში მითითებული ფაქტების გამო მოსამართლეს ახსნა-განმარტება ჩამორთმეოდა, ხოლო ოთხმა წევრმა მიზანშეწონილად მიიჩნია, შეწყვეტილიყო დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლის მიმართ. ვინაიდან, ხმათა ორი მესამედით ვერ იქნა გადაწყვეტილება მიღებული, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდა“.**[12]

სამართლებრივი საკითხი: სასამართლო აქტის კანონიერება

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ყოველწლიურ ანგარიშში საუბარი ასევე ეხება დისციპლინურ საჩივრებზე სასამართლოს მიერ მიღებული აქტის კანონიერებას.[13] ანგარიშის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა კრძალავს დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერების კონტროლს, დამოუკიდებელ ინსპექტორს ამ შინაარსის ბევრი საჩივრით მიმართეს. მაგალითად, 2017 წელს დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის გადაცემული საჩივრების 13%, ხოლო 2018 წელს 24% შეიცავდა პრეტენზიებს სწორედ მოსამართლის მიერ მიღებული აქტის კანონიერების მიმართ.

---

[11] იქვე, გვ. 27.

[12] დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის პირველი წლიური ანგარიში, 2017-2018 წწ, გვ. 27-28, ხელმისაწვდომია საიტზე https://bit.ly/2kk8gzd [უკანასკნელად შემოწმდა 14.09.2019]

[13] იქვე, გვ, 36-37.

დამოუკიდებელი ინსპექტორი ამ შემთხვევაში მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციასა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონზე და აღნიშნავს, რომ მოსამართლის მიღებული აქტის/გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება არ არის მისი კომპეტენცია.

დამოუკიდებელი ინსპექტორი წერს:

- **„სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს და მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით. დისციპლინური სამართალწარმოება არ გულისხმობს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების დასაბუთებისა თუ შინაარსობრივი მხარის შემოწმებას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა“.**[14]

შენიშვნა: საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.“ ამასთანავე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კანონმდებლობასთან ერთად, მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ხოლო, ამავე კანონის 75-ე პრიმა მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2. აკადემიური საქმიანობა/პუბლიკაციები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი, ქეთევან ცინცაძე, თავის ერთ-ერთ ინგლისურენოვან სტატიაში მსჯელობს მუცლად მყოფი ნაყოფისთვის მიყენებულ ზიანიდან მომდინარე დელიქტური პასუხისმგებლობის საკითხებზე.[15] სტატიის ავტორი მიმოიხილავს და ერთმანეთს უდარებს საერთო სამართლის ქვეყნების ეროვნული სასამართლოებისა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ მიღებულ პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს, რელევანტურ საკანონმდებლო და სამედიცინო ასპექტებს.

დასკვნის სახით კანდიდატი აღნიშნავს:

- **„მიუხედავად, მუცლად მყოფი ნაყოფის დაზიანებისათვის დელიქტური პასუხისმგებლობის სწრაფი განვითარებისა, მართლმსაჯულების საუკეთესო შედეგი ვერ იქნება მიღწეული, სანამ სასამართლოები და კანონმდებელი სრულად არ აღიარებს, რომ ინდივიდს გააჩნია ღირებულება უბრალოდ იმ სტატუსის გამო, რომ ის ადამიანია. სასამართლოებმა და კანონმდებლებმა უნდა გადახედონ ფეტუსის სამართლებრივ სტატუსსა და ზიანის ზომის განსაზღვრის საკითხებს, მისი გარდაცვალებისა და ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევებში“.**

---

[14] **იქვე, გვ. 37.**

[15] **ცინცაძე ქ., „მუცლად მყოფი ნაყოფისთვის მიყენებული ზიანიდან მომდინარე დელიქტური ვალდებულება“, ევროპის სამეცნიერო ჟურნალი, ნოემბერი 2014.**

2. პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)

1. დისციპლინური წარმოება – არსებული საჩივრები

- კანდიდატის მიმართ დისციპლინური სახდელი ან ზემოქმედების ღონისძიება გამოყენებული არ ყოფილა.

2. პროფესიული ეთიკის ნორმების სავარაუდო დარღვევა

- ეთიკის ნორმების დარღვევა არ ფიქსირდება.

3. დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები

1. კარიერული განვითარება

- 2009 წლის თებერვლიდან ივლისამდე ქალბატონი ქეთევან ცინცაძე იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სტაჟიორი. 2009-2011 წლებში კანდიდატი უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის რეფერენტის თანამდებობას იკავებდა. 2011-2017 წლებში იგი იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის თანაშემწე (მათ შორის **მიხეილ ჩინჩალაძის თანაშემწე**), ხოლო 2017 წლის ივნისიდან ნოემბრამდე – ე.წ. „მწერალი“ თანაშემწე.
- 2017 წლის 21 ნოემბერს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ქალბატონი ქეთევან ცინცაძე აირჩია დამოუკიდებელ ინსპექტორად 5 წლის ვადით.

2. მიღებული ჯილდო / სტიპენდია

- 2005-2009 წლებში ქეთევან ცინცაძე იყო პრეზიდენტის სახელმწიფო სტიპენდიატი.

4. კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები / ჯარიმები, სასამართლო დავები

- კანდიდატი ქეთევან ცინცაძე ნასამართლევი არ ყოფილა.
- ქეთევან ცინცაძის მიმართ გამოყენებული არ ყოფილა ადმინისტრაციული სახდელი.
- ქალბატონი ქეთევან ცინცაძე მესამე პირად იყო ჩართული ადმინისტრაციულ დავაში, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების ბათილად ცნობა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის ხელახალი გასაუბრების ჩატარების დავალდებულება. თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი (05.03.2018), რაც ძალაში დატოვა ჯერ თბილისის სააპელაციო სასამართლომ (10.07.2018), ხოლო შემდეგ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ (21.03.2019).

2. პარტიული კუთვნილება, ინტერესთა კონფლიქტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთან, კავშირი პოლიტიკოსებთან / გავლენიან ადამიანებთან

- ქეთევან ცინცაძე არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში მოსამართლის თანაშემწედ მუშაობის დროს ქეთევან ცინცაძე იყო სხვადასხვა მოსამართლის თანაშემწე, მათ შორის **მიხეილ ჩინჩალაძის** თანაშემწეც.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში ქეთევან ცინცაძესთან ერთად მუშაობდა ვანო ბოლქვაძე (ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარე **მიხეილ ჩინჩალაძე**), რომელიც ამჟამად არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორი. ვანო ბოლქვაძის მეუღლე ხატია ჯავახიშვილი დასაქმებულია დამოუკიდებელი ინსპექტორის აპარატში კონსულტანტის პოზიციაზე.
- კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ უარყოფითად აფასებდა დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევის პროცესს და აცხადებდა, რომ ინსპექტორის შერჩევის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის სრულად დახურვა აჩენდა ეჭვებს კონკურსის შედეგით საბჭოს არაჯანსაღი დაინტერესების თაობაზე და ამცირებდა შერჩეული კანდიდატის მიერ საზოგადოების ნდობის მოპოვების პერსპექტივას.[1]
- დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევის გაუმჭვირვალე და დახურული პროცესის საეჭვოობაზე მიუთითებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში, რომელშიც ნათქვამია, რომ ქეთევან ცინცაძის ბიოგრაფიამ და მისი არჩევის გაუმჭვირვალე პროცესმა ეჭვი გააჩინა ინსპექტორის რეალურ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.[2]
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის ნაზი ჯანეზაშვილის განცხადებით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრების პროცესში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების მხრიდან მის მიმართ გაკეთებულ არაეთიკურ განცხადებებზე დამოუკიდებელ ინსპექტორს რეაგირება არ მოუხდენია, რითაც იგი პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს საბჭოს მოსამართლე წევრებს.[3]

---

1 **კოალიცია უარყოფითად აფასებს დამოუკიდებელი ინსპექტორის შესარჩევი კონკურსის გაუმჭვირვალედ მიმდინარეობას, იხ. http://bit.ly/2ZofVLf**

2 **იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში #6, გვ. 65-66, იხ http://bit.ly/2klTphT**

3 **ნაზი ჯანეზაშვილი – მადი ჩანტლაძე გამოცდილი და მაღალი დონის იურისტია – ქეთევან ცინცაძეს კი არ ვიცი, რა დამსახურების გამო აქვს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ გახდომის მოტივაცია, იხ. http://bit.ly/2Z9C5pn**

5. კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა

1. სოციალურ ქსელში დაფიქსირებული მოსაზრებები

კანდიდატ ქეთევან ცინცაძის პერსონალური ანგარიში რეგისტრირებულია სოციალურ ქსელ „Facebook"-ზე, თუმცა იგი არ გამოთქვამს საჯარო მოსაზრებებს. მის გვერდზე ძირითადად ფიქსირდება პერსონალური და რელიგიური შინაარსის მქონე სხვადასხვა აქტივობები.[1]

2. კანდიდატ ქეთევან ცინცაძის საჯარო განცხადებები

2.1 განცხადება დამოუკიდებელი ინსპექტორის სახელზე შემოსულ საჩივრებთან დაკავშირებით

2018 წლის 20 ივნისს დამოუკიდებელმა ინსპექტორმა ქეთევან ცინცაძემ, მისი ექვსთვიანი მუშაობის შედეგების შეჯამებისას, განაცხადა:

> **საჩივრების სამი ტიპი გამოიკვეთა, კერძოდ: საქმეთა განხილვის გაჭიანურება, მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება და სასამართლოს მიერ მიღებული აქტების კანონიერება. არც ერთი საჩივარი არ გამხდარა მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ძირითადად საჩივრის ავტორები, გადაწყვეტილების კანონიერებას ხდიან სადაოდ, თუმცა, ინსპექტორის სამსახური ვერ შეაფასებს სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებას. ეს არის ზემდგომი სასამართლოს ინსტანციის კომპეტენცია".[2]**

კითხვას, რას გულისხმობს მოსამართლის მხრიდან საქმის არაჯეროვანი შესრულება, ქეთევან ცინცაძემ უპასუხა, ეს ნიშნავს, რომ მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში დაირღვა მხარის კონსტიტუციური უფლება,

> **რაც მოსამართლემ განახორციელა განზრახ და უხეშად".[3]**

3. კანდიდატ ქეთევან ცინცაძის გასაუბრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

საბჭოს წევრის, ლევან გზირიშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„როგორ გესმით სამართლის უზენაესობა?"**

---

1 მაგალითისათვის, იხილეთ ქეთევან ცინცაძის შემდეგი პოსტები: https://drive.google.com/file/, https://drive.google.com/file/d/.

2 „ქეთევან ცინცაძე – დამოუკიდებელი ინსპექტორის სახელზე შემოსული საჩივრებიდან, არც ერთი არ გამხდარა მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი'' 20.06.2018 ხელმისაწვდომია https://bit.ly/2mkIATP

3 იქვე.

კანდიდატის პასუხი:

სამართლის უზენაესობა, ზოგადად, გახლავთ დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრესი პრინციპი, სამართალი და კანონი არის ის, რაც ამოძრავებს სახელმწიფოს სამივე შტოს და მით უფრო სასამართლოს. შესაბამისად, კანონის დაცვა და კანონის აღსრულება არის სწორედ ის უმთავრესი მიზანი, რაც აკისრიათ ხელისუფლების შტოებს და უმთავრესად მოსამართლეს... რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მოსამართლემ, კანონიერი თუ სამართლიანი? მახსენდება კანტის საინტერესო სიტყვები, რომ კანონი არ შობს სამართლიანობას, თუმცა სამართლიანობა შობს თვითონ კანონს. და რა არის თვითონ კანონი - ის გახლავთ სწორედ საზოგადოების, ხალხის გამოძახილი, სამართლიანობის გამოძახილი. ძალიან საინტერესო სტატია მახსენდება გუსტავ რადბრუხისა, რომელიც საუბრობდა ზეკანონიკურ სამართლიანობაზე, უკანონო სამართლიანობასა და ზეკანონიკურ უსამართლობაზე. როდესაც საკითხი დგება იმვარად, რომ სამართლიანობა და მიზანშეწონილობა აღარ არის თავსებადი კანონთან, მაშინ კანონმა უნდა დაუთმოს სამართლიანობას, ეს არის ჩემი პასუხი კანონიერებასა და სამართლიანობასთან მიმართებაში“.

საბჭოს წევრის, ირაკლი ბონდარენკოს შეკითხვა კანდიდატს: „რა მოსაზრება გაქვთ მოსამართლეების გამოხატვის თავისუფლების ფარგლებთან დაკავშირებით“?

ქეთევან ცინცაძის პასუხი:

ძალიან საინტერესოა ზოგადად ორი კონტექსტი გამოხატვის თავისუფლების: ერთი გახლავთ მოსამართლის მიმართ, მეორე - მოსამართლის მხრიდან. როგორც სიტყვისა და გამოხატვის შესახებ საქართველოს კანონის, ისე ევროპული კონვენციის მიხედვით, დაცვის ობიექტია ცალსახად გამოხატვის თავისუფლება და იქ არის ერთი შეზღუდვა: ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით, ეს არის სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, ხოლო ევროპის კონვენციის მიხედვით, სასამართლოს ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა. აღნიშნულთან დაკავშირებით მახსენდება არაერთი საქმე, მათ შორის სკალკა პოლონეთის წინააღმდეგ, ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ, პრაგერი ავსტრიის წინააღმდეგ, მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ და ა.შ., სადაც, ერთი მხრივ, საუბარი იყო შეფასებით მსჯელობებზე და როდესაც სახეზე გვაქვს შეფასებითი მსჯელობისას აზრის დაფიქსირება კრებსით ცნებებზე და არა ზოგადად ინდივიდებზე, ასეთ შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა არ ჩაითვალა პროპორციულად. მაგრამ მეორე შემთხვევაშიმახსენდება საქმე პერუცი იტალიის წინააღმდეგ, ასევე ვინტგენტერი გერმანიის წინააღმდეგ, სადაც უკვე საუბარი იყო კონკრეტულ ფაქტებზე, კონკრეტული მოსამართლის მიმართ, რომ ის ცალსახად არღვევდა ეთიკის წესებს, მიზანმიმართულად არღვევდა კანონს, რათა მიეღო ასეთი გადაწყვეტილება და უფრო მეტიც, მე მახსენდება ბოლო, რუსთავი ორის საქმესთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება, სადაც საუბარია გარკვეულ, ზღვარს გადასულ კრიტიკაზე სასამართლოს მიმართ. ამდენად, თუ ეს კრიტიკა უკვე იწვევს მოსამართლის და ამავდროულად სასამართლოს სისტემის ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის ცალსახა შეზღუდვას, ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში დასაშვები ხდება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა“.

საბჭოს წევრის, ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „მაინტერესებს თქვენი დამოკიდებულება სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლთან (სასამართლოს უპატივცემლობა) დაკავშირებით. ჩვენ გვაქვს ტერმინი ამ მუხლში – შეურაცხყოფა; თქვენი აზრით, როგორ შეიძლება ეს განიმარტოს და რას ფიქრობთ ზოგადად ამ მუხლთან დაკავშირებით, თუ იცნობთ სასამართლოს გადაწყვეტილებებს, უზენაესის მათ შორის“?

კანდიდატის პასუხი:

აქ საინტერესოა, ზღვარი გავავლოთ ერთი მხრივ, დანაშაულს და, მეორე მხრივ, სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას განხორციელებულ ქმედებას შორის. თუ

მხარე გამოხატავს სასამართლოს უპატივცემულობას, არ ემორჩილება მას, მოსამართლეს აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს ჯარიმა, გაძევება და სხვა პროცესუალური ბერკეტები". მაგრამ მეორე მხარეს არის სისხლის სამართლის დანაშაული. ნორმაში, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, წერია სასამართლო პროცესის მონაწილის ცნება და ის ,თავის თავში მოიცავს მოსამართლეს, მხარეს, ადვოკატს, პროკურორს, პროცესის ნებისმიერ მონაწილეს. ჩემთვის შეურაცხყოფა გახლავთ სიტყვიერი შეურაცხყოფა და ფიზიკური შეურაცხყოფა, რომელიც ხორციელდება და დაკავშირებულია უშუალოდ საქმესთან.პირადად ჩემი მოსაზრება გახლავთ ის, რომ ეს ნორმა მდგომარეობს იმაში, რომ კონკრეტულად საქმის განხილვაში მყოფ საქმეზე, განხილულ საქმეზე ან განსახილველ საქმესთან დაკავშირებით არის დავა. ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ სამოსამართლო ფუნქცია და არასამოსამართლო ფუნქცია, როდესაც ჩვენ გარეთ, მოსამართლეს, ჩვეულებრივ ვითარებაში ვიღაცა შეურაცხყოფას მიაყენებს, არა მგონია, ეს ფაქტი იყოს ამ ნორმით დაკვალიფიცირების საფუძველი. შეურაცხყოფაა, როდესაც შეურაცხვყოფთ უშუალოდ მოსამართლეს,როგორც მოსამართლეს და ვიცით, რომ ის მოსამართლეა, ის განიხილავს საქმეს, მან განიხილა ჩემი საქმე ან იხილავს ჩემს საქმეს."

ლევან გზირიშვილის შეკითხვა კანდიდატს: „ისჯება თუ არა და უნდა ისჯებოდეს თუ არა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა და რაიმე ხიფათთან ხომ არ არის დაკავშირებული ეს უფლება?"

კანდიდატის პასუხი:

რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით არ გახლავთ დასჯადი, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსში, როგორც მახსოვს, არის ნორმა აღსრულებისათვის ხელის შეშლაზე, რასაც, შესაძლებელია, ახლდეს რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა. აქ გვაქვს ფაქტობრივად ორი მდგომარეობა: ერთ მხარეს არის რელიგიური გრძნობები, რელიგიური თავისუფლება და მეორე მხარესაა გამოხატვის თავისუფლება. ასეთ შემთხვევებში ჩვენ ვიცით სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკა, როდესაც საკითხი შეეხება იმ დონის შეურაცხყოფას, ისეთი ტიპის გამოსვლებს, რომელიც ფაქტობრივად არა მხოლოდ შეურაცხყოფს კონკრეტულ რელიგიას, არამედ იწვევს აგრესიას, წაქეზებას კონკრეტული რელიგიის წინააღმდეგ; ამ შემთხვევაში მახსენდება საქმე „ნორვუდი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ", როდესაც საუბარი იყო გაერთიანებული სამეფოზე ისლამის გარეშე, შესაბამისად აქ სახელმწიფომ ძალიან მკაფიო ზღვარი უნდა გაავლოს, რათა, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლებამ თავისთავად არ შეურაცხყოს რელიგიური გრძნობები, ხოლო რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფამ, თავის მხრივ, ადამიანის ფუნდამენტური უფლების დარღვევა არ გამოიწვიოს".

- ამ საკითხთან დაკავშირებით კანდიდატს დამატებით ჰკითხეს: „თუ გახსოვთ, ქობულეთში სასწავლებლის კარზე ღორის თავის ჩამოკიდების ფაქტი? იყო სხვა ფაქტებიც. ძალადობად ჩავთვლიდით თუნდაც ამ ფორმას? თქვენი აზრით, უნდა ისჯებოდეს რელიგიური გრძნობების ასეთი შეურაცხყოფა?"

ქეთევან ცინცაძის პასუხი:

მე ვფიქრობ, რომ ასეთ შემთხვევებში, როდესაც სახეზე გვაქვს გარკვეული ძალადობითი ნიშნები, ქმედება უნდა იყოს დასჯადი. თუმცა, თუ აქ გვაქვს საუბარი, ვთქვათ, გამოხატვის ელემენტებზე, როდესაც ერთი კონკრეტული პიროვნება გამოხატავს თავის დამოკიდებულებას, შესაძლებელია არასწორი ფორმულირებით, და ეს დამოკიდებულება არ შეიცავს ძალადობრივ ელემენტებს, ასეთ შემთხვევაში, ვფიქრობ, სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს".

საბჭოს წევრის, ანა დოლიძის შეკითხვა კანდიდატს: „საერთო სასამართლოების სისტემაში აბსოლუტური უმცირესობა, სულ ერთი თუ ორი შემთხვევაა ქალი თავმჯდომარეებისა. სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც არის მაღალი თანამდებობა, უმეტესწილად უკავიათ მამაკაცებს, ხომ დამეთანხ-

მებით ამაში? როგორ აღწერთ ამ ვითარებას? როგორია ამ ვითარების თქვენეული, როგორც იურისტის და როგორც მკვლევრის აღწერა?“

კანდიდატის პასუხი:

ვადევნებ თვალს მოსამართლეთა კონფერენციებს მოსამართლეები არც აყენებენ ამ საკითხს. პირადად მე მიმაჩნია, რომ ქალბატონი თავმჯდომარე ნამდვილად შეძლებს იყოს ძალიან კარგი მენეჯერი და მომხრე ვარ, რაც შეიძლება მეტი ქალი იყოს მენეჯერულ თანამდებობაზე. ამდენად, ვფიქრობ რომ, აქ არის არა კანონმდებლობის პრობლემა, არამედ, თავისი არსით, შეფასების პრობლემა, რა გვირჩევნია. გვირჩევნია განვახორციელოთ სამოსამართლო უფლებამოსილება და არ დავიტვირთოთ უფრო მეტად. დრო სხვანაირად გადავანაწილოთ, დრო დავუთმოთ უფრო აკადემიურ საქმიანობას, ვიდრე თავმჯდომარის როლს“.

ანა დოლიძის შეკითხვა კანდიდატს: „გთხოვთ გაავლოთ ზღვარი უკუდისკრიმინაციასა და პოზიტიურ დისკრიმინაციას შორის. სად მთავრდება პოზიტიური დისკრიმინაცია, რა ეტაპზე და რა ეტაპზე იწყება ის, რასაც ვეძახით უკუდისკრიმინაციას?“

კანდიდატ ქეთევან ცინცაძის პასუხი:

პოზიტიური დისკრიმინაცია, გახლავთ გარკვეული ღონისძიების გატარება იმისათვის, რომ ჩვენ აღმოვფხვრათ არსებული დისკრიმინაცია. ხოლო უკუდისკრიმინაცია გვაქვს მაშინ, როდესაც გარკვეულ უმცირესობაში მყოფი ადამიანები იკავებენ უმრავლესობის ადგილს და, ფაქტობრივად, სახეზე გვაქვს საწინააღმდეგო შედეგი. რეალურად, როდესაც ჩვენ მიზანი ფაქტობრივად გათანაბრებაა, პირობითად, კვოტების გათანაბრება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მივდივართ იქამდე, რომ უმრავლესობაში მყოფი გარკვეული კატეგორია ხდება უმცირესობაში და, შესაბამისად, უკვე ხდება საჭიროება მათ მიმართ განვახორციელოთ, შესაძლებელია, პოზიტიური დისკრიმინაცია“.

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორი იცით ვინ არის?“

ქეთევან ცინცაძის პასუხი:

დიახ, ვანო ბოლქვაძე“.

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „მისი მეუღლე თქვენთან მუშაობს?“

კანდიდატი ქეთევან ცინცაძის პასუხი:

ქალბატონი ხატია ჯავახიშვილი, დიახ“.

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „როგორ მიიღეთ?“

ქეთევან ცინცაძის პასუხი:

კონკურსის წესით“.

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორი ვანო ბოლქვაძე მუშაობდა თუ არა თქვენთან ერთად უზენაეს სასამართლოში და რამდენი ხანი? წლები რომ გვითხრათ“.**

ქეთევან ცინცაძის პასუხი:

წლები ზუსტად ასე არ მახსენდება, მაგრამ ბატონი ვანო ბოლქვაძე მუშაობდა უზენაეს სასამართლოში. ვანო წლების განმავლობაში გახლდათ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში და მეც“.

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„იმ პერიოდში თუ მუშაობდით, როდესაც მიხეილ ჩინჩალაძე იყო უზენაესი სასამართლოს წევრი? და გქონდათ თუ არა მასთან თანამშრომლობა?“**

კანდიდატის პასუხი:

დიახ, უზენაეს სასამართლოში 2009 წლიდან ვმუშაობდი 2017 წლამდე. გახლდით ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სხვადასხვა მოსამართლის თანაშემწე, მათ შორის, ბატონი მიხეილ ჩინჩალაძის თანაშემწეც“.

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„თქვენი აზრი მაინტერესებს; დამოუკიდებელი ინსპექტორი ბრძანდებით, დიდი ხანია სისტემაში მუშაობთ და თან ამ ადამიანს კარგად იცნობთ. არის თუ არა გავლენიანი პირი მიხეილ ჩინჩალაძე სასამართლო სისტემაში?“**

ქეთევან ცინცაძის პასუხი:

ბატონი მიხეილ ჩინჩალაძე გახლავთ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე და გახლდათ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარე. შესაბამისად, მას მენეჯერული პოზიცია უკავია. რას გულისხმობთ თქვენ გავლენიანში? არცერთ მოსამართლეს, არცერთ თავმჯდომარეს არ აქვს უფლება, გავლენა მოახდინოს სხვა მოსამართლეზე, ეს არის ცალსახად კანონსაწინააღმდეგო. ხოლო ის რომ ის კონკრეტულ მენეჯერულ პოზიციას იკავებს, ეს ბუნებრივია, ცალსახაა და ცხადია. ეს არის ჩემი პასუხი“.

ანა დოლიძის შეკითხვა კანდიდატს: **„რა პროცედურით მოხვდით უზენაეს სასამართლოში პირველ თანამდებობაზე?“**

კანდიდატის პასუხი:

2008 წლის დეკემბერში გამოცხადდა სტაჟიორების კონკურსი უზენაეს სასამართლოში, მივიღე ამ კონკურსში მონაწილეობა და ამირჩიეს სტაჟიორად. ექვსთვიანი სტაჟირების დასრულების შემდგომ, დავინიშნე რეფერენტად“.

6. კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები

1. ქონება (უძრავი/მოძრავი)

2016
ბინა თბილისში
84 660 ₾
(69 კვ.მ)

2004
ბინა თბილისში
27 300 ₾
(46 კვ.მ)

2. ფინანსები

ქეთევან ცინცაძე 2018 წელს დამოუკიდებელი ინსპექტორის პოზიციაზე მუშაობდა და ანაზღაურების სახით 55,640 ლარი მიიღო. კანდიდატი პროფესიული საქმიანობის პარალელურად ეწევა აკადემიურ საქმიანობას, საიდანაც გასულ წელს შემოსავლის სახით 3,240 ლარი მიიღო.

რაც შეეხება მის მეუღლეს, არჩილ მაისურაძე დასაქმებულია სადაზღვევო კომპანია „უნისონში“, გაყიდვების მენეჯერის პოზიციაზე, საიდანაც მისმა წლიურმა შემოსავალმა 10,452 ლარი შეადგინა. არჩილ მაისურაძე ასევე არის ინდ. მეწარმე, თუმცა ამჟამად სამეწარმეო საქმიანობა შეჩერებული აქვს.

ქეთევან ცინცაძეს ორი მიმდინარე საბანკო ვალდებულება “TBC” ბანკში უფიქსირდება. კანდიდატმა 2019 წელს აიღო სამომხმარებლო სესხი, რომლითაც დაფარა საქართველოს ბანკში აღებული სამომხმარებლო სესხი. ასევე, 2016 წელს ქეთევან ცინცაძემ აიღო იპოთეკური სესხი „TBC“ ბანკში 34,000 აშშ დოლარის ოდენობით, რითაც შეიძინა ბინა თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას 59 ნომერში. იპოთეკური სესხის მომსახურება კანდიდატს თვიურად 421 აშშ დოლარი უჯდება.

ავტორები: ედუარდ მარიკაშვილი, ანა ნაცვლიშვილი, გიორგი ბერაია, ირაკლი გვარამაძე, ზაზა აბაშიძე

რედაქტორები: დავით პაიჭაძე, გიორგი ჩიტიძე, სოფიო ასათიანი, ინა გრიგალაშვილი დიზაინი: ბესიკ დანელია

ფონდი დოკუმენტის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას უხდის:
სალომე კვირიკაშვილს, მარიამ ორჟონიას, ლაშა ჯუღელს, თინათინ ჭაჭუკაშვილს, გვანცა კახიძეს,
თეონა ბაბუციძეს, ხატია ნიკოლაიშვილსა და შოთა ქობალიას

მომზადებულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მიერ